

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	19
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია	21
6. საინვესტიციო ქონება	21
7. ძირითადი საშუალებები	23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
10. მიღებული სესხები	24
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
12. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	25
13. შრომის ანაზღაურების ხარჯები	25
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	26
15. მოგების გადასახადი	26
16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	27
17. ფინანსური რისკების მართვა	27
18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	29
18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)	30
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სააქციო საზოგადოება „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება გაავამხვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ მიღებულმა სრულმა ზარალმა 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგინა 254,629 ლარი და ამავე თარიღისთვის კომპანიის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან არის უარყოფითი. გარდა ამისა, 2020 წელს გავრცელებული ახალი კორონავირუსი COVID-19 - ით გამოწვეული პანდემიის შედეგად კომპანია დადგა დამატებითი ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე. როგორც მე-2 განმარტებით შენიშვნაშია აღნიშნული, ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართად დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ, 2019 წლის აუდიტის ფარგლებში, ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებების აუდიტი. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

აუდიტის ძირითადი საკითხი

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

საინვესტიციო ქონების გაუფასურება

კომპანია ბოლო წლებში განიცდის საოპერაციო ზარალს. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საინვესტიციო ქონების იჯარით გაცემა, ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული ქონების შესაძლო გაუფასურება. ჩვენი აზრით, საინვესტიციო ქონების შესაძლო გაუფასურების საკითხი მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტისთვის, ვინაიდან ქონების ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა საჭიროებს სპეციფიკურ დაშვებებსა და მსჯელობებს, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს არსებით განუსაზღვრელობასთან.

შედეგად, ჩვენი აუდიტის პროცედურები მოიცავდა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებებისა და მსჯელობების კრიტიკულ შეფასებას, ასევე, სამომავლოდ გაქირავების მიზნით ვაკანტური ფართების მოწყობასთან დაკავშირებული კომპანიის გეგმების ადეკვატურობის შეფასებას და ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით მოსალოდნელი შედეგების გაზომვას. აღნიშნული აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას ჩვენ ვინარჩუნებდით პროფესიულ სკეპტიციზმს და ვეყრდნობით ჩვენს პროფესიულ განსჯას.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მოველით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არსებითად არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

2020 წლის 29 აპრილი

თბილისი, საქართველო

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის მალხაზ უჯმაჯურიძე.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

2020 წლის 29 აპრილი

თბილისი, საქართველო



სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018 გადაანგარიშებული*	1 იანვარი, 2018 გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	6	6,763,438	6,950,525	7,137,612
ძირითადი საშუალებები	7	8,734	8,062	27,875
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,772,172	6,958,587	7,165,487
მოკლევადიანი აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	40,566	75,026	70,070
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	15,226	14,176	24,863
სულ მოკლევადიანი აქტივები		55,792	89,202	94,933
სულ აქტივები		6,827,964	7,047,789	7,260,420
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	1	608,604	608,604	608,604
გაუნაწილებელი მოგება		6,000,880	6,255,521	6,508,967
სულ კაპიტალი		6,609,484	6,864,125	7,117,571
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	168,189	41,828	25,970
სულ გრძელვად. ვალდებულებები		168,189	41,828	25,970
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	27,698	41,516	29,187
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	22,502	22,476	12,991
საგადასახადო ვალდებულება		91	77,844	74,701
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,291	141,836	116,879
სულ ვალდებულებები		218,480	183,664	142,849
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,827,964	7,047,789	7,260,420

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ, იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი


მერაბ შენგელია
გენერალური დირექტორის I მოადგილე

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018 გადაანგარიშებული*	1 იანვარი, 2018 გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	6	6,763,438	6,950,525
ძირითადი საშუალებები	7	8,734	8,062
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,772,172	6,958,587
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	40,566	75,026
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	15,226	14,176
სულ მოკლევადიანი აქტივები		55,792	89,202
სულ აქტივები		6,827,964	7,047,789
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1	608,604	608,604
გაუნაწილებელი მოგება		6,000,880	6,255,521
სულ კაპიტალი		6,609,484	6,864,125
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	168,189	41,828
სულ გრძელვად. ვალდებულებები		168,189	41,828
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	10	27,698	41,516
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	22,502	22,476
საგადასახადო ვალდებულება		91	77,844
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,291	141,836
სულ ვალდებულებები		218,480	183,664
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,827,964	7,047,789

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ, იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი




მერაბ შენგელაია
გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12	764,813	728,945
შრომის ანაზღაურების ხარჯები	13	(489,275)	(463,186)
კომუნალური ხარჯები		(174,594)	(202,733)
საერთო მოგება		100,944	63,026
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6, 7	(190,724)	(207,135)
ქონებისა და მიწის გადასახადის ხარჯი		(42,401)	(44,269)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	(28,746)	(9,118)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(76,225)	(49,690)
საოპერაციო ზარალი		(237,152)	(247,186)
ფინანსური ხარჯი	10	(19,343)	(6,260)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,854	-
ზარალი დაბეგვრამდე		(254,641)	(253,446)
მოგების გადასახადი	15	-	-
წლის წმინდა ზარალი		(254,641)	(253,446)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(254,641)	(253,446)
 საბაზისო და განზავებული ზარალი ერთ აქციაზე		 (0.54)	 (0.54)

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი

მერაბ შენგელია
გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12	764,813	728,945
შრომის ანაზღაურების ხარჯები	13	(489,275)	(463,186)
კომუნალური ხარჯები		(174,594)	(202,733)
საერთო მოგება		100,944	63,026
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6, 7	(190,724)	(207,135)
ქონებისა და მიწის გადასახადის ხარჯი		(42,401)	(44,269)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	(28,746)	(9,118)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(76,225)	(49,690)
საოპერაციო ზარალი		(237,152)	(247,186)
ფინანსური ხარჯი	10	(19,343)	(6,260)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,854	-
ზარალი დაბეგვრამდე		(254,641)	(253,446)
მოგების გადასახადი	15	-	-
წლის წმინდა ზარალი		(254,641)	(253,446)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(254,641)	(253,446)
საბაზისო და განზავებული ზარალი ერთ აქციაზე		(0.54)	(0.54)

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი



მერაბ შენგელა
გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 1)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018 გადაანგარიშებული *	608,604	6,508,967	7,117,571
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(253,446)	(253,446)
31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებული *	608,604	6,255,521	6,864,125
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(254,641)	(254,641)
31 დეკემბერი 2019	608,604	6,000,880	6,609,484

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ, იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კახაბერ ხურციძე

გენერალური დირექტორი

მერაბ შენგელია

გენერალური დირექტორის I მოადგილე


შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი (შენიშვნა 1)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018 გადაანგარიშებული *	608,604	6,508,967	7,117,571
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(253,446)	(253,446)
31 დეკემბერი 2018 გადაანგარიშებული *	608,604	6,255,521	6,864,125
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(254,641)	(254,641)
31 დეკემბერი 2019	608,604	6,000,880	6,609,484

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ, იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:


 კახაბერ ხურციძე
 გენერალური დირექტორი




 მერაბ შენგელაია
 გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(254,641)	(253,446)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6,7	190,724	207,135
ფინანსური ხარჯი	10	19,343	6,260
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	28,746	9,118
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში კაპიტალში ცვლილებებამდე		(15,828)	(30,933)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(კლება)		5,714	(14,074)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		26	9,485
საგადასახადო ვალდებულებების კლება/(ზრდა)		(77,753)	3,143
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში გადასახადამდე და პროცენტამდე		(87,841)	(32,379)
გადახდილი პროცენტი	10	(19,343)	(6,260)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(107,184)	(38,639)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(4,309)	(235)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(4,309)	(235)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი სესხები		(97,457)	(31,813)
აღებული სესხი		210,000	60,000
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		112,543	28,187
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		1,050	(10,687)
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	9	14,176	24,863
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	15,226	14,176

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კახაბერ ხურციძე

გენერალური დირექტორი

მერაბ შენგელია

გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(254,641)	(253,446)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6,7	190,724	207,135
ფინანსური ხარჯი	10	19,343	6,260
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	8	28,746	9,118
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში კაპიტალში ცვლილებებამდე		(15,828)	(30,933)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(კლება)		5,714	(14,074)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		26	9,485
საგადასახადო ვალდებულებების კლება/(ზრდა)		(77,753)	3,143
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში გადასახადებამდე და პროცენტებამდე		(87,841)	(32,379)
გადახდილი პროცენტი	10	(19,343)	(6,260)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(107,184)	(38,639)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(4,309)	(235)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(4,309)	(235)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი სესხები		(97,457)	(31,813)
აღებული სესხი		210,000	60,000
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული ფინანსური საქმიანობიდან		112,543	28,187
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		1,050	(10,687)
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	9	14,176	24,863
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	15,226	14,176

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 29 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

კანაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი

მერაბ შენგელია
გენერალური დირექტორის I მოადგილე

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1947 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თბილისში, გლდან-ნაძალადევი, სარაჯიშვილის გამზირი #6-ში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული აქვს 1 აშშ დოლარი ნომინალური ღირებულების 473,327 ცალი ჩვეულებრივი აქცია (2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით 473,327 ცალი ჩვეულებრივი აქცია). კომპანიის აქციების მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის შპს „ჯგუფს“, რომლის მფლობელები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან ლაშა ხურციძე (23,86%), კახაბერ ხურციძე (20,13%), დავით გიორგაძე (21,13%), დავით გობეჯიშვილი (18,22%) და მერაბ შენგელია (16,66%). 2019 და 2018 წლების განმავლობაში შპს „ჯგუფის“ მფლობელთა წილი არ შეცვლილა. სულ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია აქციათა 398 საბოლოო მფლობელი (2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, რეგისტრირებული იყო შესაბამისად 414 და 425 მფლობელი):

დასახელება	31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018		1 იანვარი, 2018	
	აქციების რაოდენობა	წილი (%)	აქციების რაოდენობა	წილი (%)	აქციების რაოდენობა	წილი (%)
შპს ჯგუფი	459,301	97.04%	458,905	96.95%	454,900	96.11%
სხვა წვრილი აქციონერები	14,026	2.96%	14,422	3.05%	18,427	3.89%
სულ	473,327	100.00%	473,327	100.00%	473,327	100.00%

კომპანიის მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის დირექტორია ლაშა ხურციძე. ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არეგულირებს კომპანიის გენერალური დირექტორი კახაბერ ხურციძე და გენერალური დირექტორის I მოადგილე მერაბ შენგელია.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. ახალი სტანდარტი გავლენას არ ახდენს კომპანიის საწყის ნაშთებზე ვინაიდან ის თვითონ არ არის მოიჯარე, ხოლო მეიჯარისთვის აღნიშნული სტანდარტი არ იწვევს სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიყენებს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

2019 წლისთვის კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 254,629 ლარი, ხოლო 2018 წლის კომპანიის წმინდა ზარალი იყო 253,446 ლარი. გარდა ამისა, ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან არის უარყოფითი და 2019 წელს შეადგენს (107,184) ლარს, ხოლო 2018 წელს შეადგენდა (38,639) ლარს.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით (იხილეთ შენიშვნა 19) მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ბაზარზე შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე კომპანიის სამომავლო შემოსავლების შემცირებისა და მოიჯარეების დაკარგვის საფრთხე არსებობს.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართად დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შემასუბუქებელი ფაქტორები

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა მრავალმხრივი სამოქმედო გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- მოიჯარეების წინაშე წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეების შემსუბუქების მიზნით, კომპანიამ უზრუნველყო ანაზღაურების გარეშე ერთი თვის საიჯარო მომსახურების გაწევა, რაც მოიჯარეების ლოიალობის ზრდასა და მათ გრძელვადიანად შენარჩუნებას უზრუნველყოფს;
- სასესხო ვალდებულების გადასახდელების გადავადების მიზნით კომპანიამ გამოიყენა კომერციული ბანკის მიერ შემოთავაზებული 3-თვიან საშელავათო პერიოდი, რაც წარმოქმნის დამატებით თავისუფალ ფულად სახსრებს, რომლის გამოყენებაც მოხდება კრიზისულ პერიოდში საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად;
- კრიზისული პერიოდის განმავლობაში, უმაღლესი ხელმძღვანელობის კუთვნილი შრომის ანაზღაურების შესაბამისი თანხა გამოყენებული იქნება საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.
- პერსპექტივაში, კომპანია გეგმავს სასაწყობო ფართებს ჩაუტაროს სარემონტო სამუშაოები, რათა მიახლოვოს ევროპულ სტანდარტებს, რაც შესაფერისი მარკეტიგული აქტივობების დახმარებით საშუალებას მისცემს კომპანიას გააქირავოს ახალი ფართები და გაზარდოს საიჯარო შემოსავალი.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას კრიზისული პერიოდის დაძლევაში, ასევე სამომავლო ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

აღნიშნული შემასუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, ამავდროულად მნიშვნელოვანი ღირებულების საინვესტიციო ქონებისა და გაუნაწილებელი მოგების არსებობის გამო ხელმძღვანელობა დარწმუნებულია კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიას უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განუხორციელებია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას უცხოურ ვალუტაში ნაშთები არ გააჩნია.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ კომპანია არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს.

თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას „ფასს 9“ ის შესაბამისად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალაინების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

- *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).* ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- *სხვა ფინანსური ვალდებულებები.* ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო და სხვა ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დამკვეთების ცვლილება. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული შემოსავლებისა და დანაკარგების თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ცვეთა აღიარდება მოგება/ზარალში, რომლის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით, იმ თარიღიდან როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
საავტომობილო საშუალებები	5

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

საინვესტიციო ქონების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების ცვეთის სასარგებლო მომსახურების ვადების პროპორციულად. მიწას ცვეთა არ ერიცხება. შენობების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20 წლით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამგვარად, მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებას, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოდგენს ფართების იჯარით გაქირავება. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით, რასაც კომპანია ელოდება, რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა. მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის გაწევა თანამშრომლების მიერ.

იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ფასს 16-ის გამოყენების შემდეგ არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც ოპერაციული იჯარა.

იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის წამოწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები (მაგალითად, საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების), ან სხვა გარემოებების შეცვლა (მაგალითად, მოიჯარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა) არ იწვევს იჯარის ხელახალი კლასიფიკაციის აუცილებლობას მისი აღრიცხვის მიზნებისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები: კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები, აქტივებში განვითარებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

კომპანიამ მოახდინა მიწის და შენობა-ნაგებობების შეფასება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღით. კომპანიამ გამოიყენა ფასს 1 - ის მიხედვით დაშვებული გამონაკლისი და აღიარა სამართლიანი ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული განხორციელდა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ ვერ მოიძია ქონების ღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

როგორც ეს აღნიშნულია მე-6 განმარტებით შენიშვნაში კომპანიის საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დასაშვები ღირებულებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა გარე დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლის მიერ საბაზრო მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოლენები : როგორც მითითებულია შენიშვნა 19-ში, გავრცელებული ახალი კორონავირუსი (Covid-19) გავლენას ახდენს გლობალურ და ადგილობრივ ბაზრებზე. ზემოქმედების ზომა, მასშტაბები და ხანგრძლივობა არ არის ზუსტად გარკვეული და დამოკიდებულია სხვადასხვა გარე ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის: კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 9-ში.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ გამოავლინა სააღრიცხვო შეცდომები წინა პერიოდის წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში და მოახდინა მათი გასწორება მიმდინარე პერიოდში. აღნიშნულ შესწორებებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ძირითად საშუალებების, საინვესტიციო ქონების, სააქციო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგების ნაშთებზე.

შეცდომების გასწორებამ და რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე გაუნაწილებელი მოგებისა და სააქციო კაპიტალის ანგარიშებზე:

31 დეკემბერი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია/კორექტირება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	3,588,395	(3,580,333)	8,062
საინვესტიციო ქონება	3,370,192	3,580,333	6,950,525
სააქციო კაპიტალი	473,327	135,277	608,604
გაუნაწილებელი მოგება	6,390,798	(135,277)	6,255,521

1 იანვარი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია/კორექტირება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	3,608,208	(3,580,333)	27,875
საინვესტიციო ქონება	3,557,279	3,580,333	7,137,612
სააქციო კაპიტალი	473,327	135,277	608,604
გაუნაწილებელი მოგება	6,644,244	(135,277)	6,508,967

6. საინვესტიციო ქონება

კომპანია საკუთარ ბალანსზე რიცხულ შენობა-ნაგებობებს იყენებს საიჯარო შემოსავლების მიღების მიზნით, ხოლო მიწის ძირითად ნაწილს ფლობს კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისათვის, შესაბამისად, აღნიშნული აქტივები სრულად კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება. კომპანიის საინვესტიციო ქონება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ჯამი
დასაშვები ღირებულება			
1 იანვარი, 2018	3,580,333	3,741,736	7,322,069
ზრდა	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	3,580,333	3,741,736	7,322,069
ზრდა	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	3,580,333	3,741,736	7,322,069
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2018	-	(184,457)	(184,457)
ცვეთის ხარჯი	-	(187,087)	(187,087)
31 დეკემბერი, 2018	-	(371,544)	(371,544)
ცვეთის ხარჯი	-	(187,087)	(187,087)
31 დეკემბერი, 2019	-	(558,631)	(558,631)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2018	3,580,333	3,557,279	7,137,612
31 დეკემბერი, 2018	3,580,333	3,370,192	6,950,525
31 დეკემბერი, 2019	3,580,333	3,183,105	6,763,438

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და შედეგად. შეფასება გაკეთდა კომპანიის მიერ ფასს-ზე გადასვლის თარიღით და საბაზრო ღირებულება გამოყენებული იქნა როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, შესაბამისად ფასს 1 - ში დაშვებული გამონაკლისი შემთხვევისა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა გარე დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლის მიერ საბაზრო მეთოდის გამოყენებით. შეფასების დასკვნის მიხედვით აღნიშნული მიწისა და შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულება შეადგენს შესაბამისად 3,303,898 და 4,843,069 ლარს.

სს საქართველოს ბანკთან გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიის საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკით. მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-11 შენიშვნაში.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
1 იანვარი, 2018	90,980	119,274	210,254
ზრდა	235	-	235
31 დეკემბერი, 2018	91,215	119,274	210,489
ზრდა	4,309	-	4,309
31 დეკემბერი, 2019	95,524	119,274	214,798
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი, 2018	(82,338)	(100,041)	(182,379)
ცვეთის ხარჯი	(2,799)	(17,249)	(20,048)
31 დეკემბერი, 2018	(85,137)	(117,290)	(202,427)
ცვეთის ხარჯი	(2,745)	(892)	(3,637)
31 დეკემბერი, 2019	(87,882)	(118,182)	(206,064)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2018	8,642	19,233	27,875
31 დეკემბერი, 2018	6,078	1,984	8,062
31 დეკემბერი, 2019	7,642	1,092	8,734

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომელიც იყო სრულად გაცვეთილი მაგრამ გამოყენებაში, შეადგენდა 194,693 ლარს (2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით იყო შესაბამისად 193,308 და 75,090 ლარი).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნება ძირითადად შედგება კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად მისაღები თანხებისაგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
სავაჭრო მოთხოვნები	52,728	85,136	75,566
ავანსები	143	5,314	810
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(12,305)	(15,424)	(6,306)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,566	75,026	70,070

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ცვლილება წლების განმავლობაში წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

	სავაჭრო მოთხოვნები	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2018	6,306	6,306
დარიცხვა წლის განმავლობაში	9,118	9,118
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	15,424	15,424
ჩამოწერა წლის განმავლობაში	(31,865)	(31,865)
დარიცხვა წლის განმავლობაში	29,374	29,374
აღდგენა წლის განმავლობაში	(628)	(628)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	12,305	12,305

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხო. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	14,952	13,528	24,662
ფული სალაროში	274	648	201
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	15,226	14,176	24,863

10. მიღებული სესხები

კომპანიის მიერ მოზიდული კაპიტალი წარმოადგენს უზრუნველყოფილ სესხებს. კომპანიის მიღებული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

					31 დეკემბერი, 2019		31 დეკემბერი, 2018		1 იანვარი, 2018	
სესხის გამცემი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მოკლ. ვალდებულება	გრძ. ვალდებულება	მოკლ. ვალდებულება	გრძ. ვალდებულება	მოკლ. ვალდებულება	გრძ. ვალდებულება
სს საქართველოს ბანკი	11.70%	ლარი	8 აპრ.19	15 აპრ.25	27,698	168,189	-	-	-	-
სს საქართველოს ბანკი	10.50%	ლარი	26 სექ.13	8 აპრ.19	-	-	23,939	2,070	29,187	25,970
სს საქართველოს ბანკი	12.70%	ლარი	14 დეკ.18	8 აპრ.19	-	-	11,832	13,168	-	-
სს საქართველოს ბანკი	12.50%	ლარი	6 აგვ.18	8 აპრ.19	-	-	5,745	26,590	-	-
სულ მიღებული სესხები					27,698	168,189	41,516	41,828	29,187	25,970

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2019 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ აღებულია 210,000 ლარიანი სესხი, რომლის მიზნობრიობა განსაზღვრულია სესხის ხელშეკრულებაში, როგორც სხვა სესხების რეფინანსირება და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

სესხების დაფარვა ხორციელდება ყოველთვიურად თანაბარი გადახდებით. 2019 წელს სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 19,343 ლარი (2018 წელს - 6,260 ლარი).

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
სავაჭრო ვალდებულებები	20,559	20,576	11,268
სხვა ვალდებულებები	1,943	1,900	1,723
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,502	22,476	12,991

12. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია იჯარით გასცემს თავის საკუთრებაში არსებულ საინვესტიციო ქონებას საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით. კომპანიის შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მათი საქმიანობის სფეროების მიხედვით 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

კომპანიის მეიჯარის საქმიანობის სფერო	2019	2018
სურსათის დისტრიბუცია და სხვა სასურსათო მომსახურება	282,009	274,858
საყოფაცხოვრებო პროდუქციით ვაჭრობა	187,599	168,086
სამშენებლო პროდუქციით ვაჭრობა	168,013	134,367
ფინანსური მომსახურება	27,508	27,508
უძრავი ქონების საბროკერო მომსახურება	15,536	11,403
სტომატოლოგიური მომსახურება	7,489	5,550
სხვა	76,659	107,173
სულ შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	764,813	728,945

13. შრომის ანაზღაურების ხარჯები

კომპანიის შრომის ანაზღაურების ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

კომპანიის თანამშრომელთა ფუნქციები	2019	2018
ადმინისტრაცია	293,881	279,238
უსაფრთხოება	91,611	94,536
ტექნიკური უზრუნველყოფა	59,330	59,706
სხვა	44,453	29,706
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯები	489,275	463,186

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

კომპანიის სხვა ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	28,688	18,725
ჯარიმები და საურავები	20,764	-
მასალების ხარჯი	14,496	16,605
საკანცელარიო ხარჯები	6,705	5,697
ა/მანქანის რემონტზე გაწეული ხარჯები	3,864	7,677
საბანკო ხარჯები	1,708	986
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	76,225	49,690

საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები მოიცავს 2019 და 2018 წლის აუდიტორული მომსახურების ხარჯს, შესაბამისად 15,000 და 18,725 ლარის ოდენობით.

15. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნება არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008 – 2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2019 და 2018 წლებისთვის კომპანიას არ გაუცია დივიდენდი, შესაბამისად არ გადაუხდია მოგების გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

16. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 1 იანვარი მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

პანდემია და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

როგორც ეს მითითებულია მე-19 განმარტებით შენიშვნაში, ახალი კორონავირუსის COVID-19 ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე. გავლენის არეალი, შედეგები და ხანგრძლივობა არ არის დაზუსტებით ცნობილი და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემო ფაქტორებზე.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018	1 იანვარი, 2018
სავაჭრო მოთხოვნები	8	40,423	69,712	69,260
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	14,952	13,528	24,662
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე		55,375	83,240	93,922

საკრედიტო რისკი გულისხმობს ზემოთ აღნიშნული ფინანსური აქტივების გაუფასურების რისკს.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (გ/შ 11). საკრედიტო ხელშეკრულებების მიხედვით ბანკისგან მიღებული სესხები მიზნულია რეფინანსირების განაკვეთზე. მენეჯმენტი არ ელოდება რეფინანსირების განაკვეთის არსებით ცვლილებას

სავალუტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაეკემდებარებიან გადახდას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	40,423	-	-	40,423
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,226	-	-	15,226
სულ ფინანსური აქტივები	55,649	-	-	55,649
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	20,559	-	-	20,559
მიღებული სესხები	27,698	151,524	16,665	195,887
სულ ფინანსური ვალდებულებები	48,257	151,524	16,665	216,446
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	7,392	(151,524)	(16,665)	(160,797)

31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	69,712	-	-	69,712
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,176	-	-	14,176
სულ ფინანსური აქტივები	83,888	-	-	83,888
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	20,576	-	-	20,576
მიღებული სესხები	41,516	41,828	-	83,344
სულ ფინანსური ვალდებულებები	62,092	41,828	-	103,920
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	21,796	(41,828)	-	(20,032)

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

<i>1 იანვარი 2018</i>	<i>< 1 წელი</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	69,260	-	-	69,260
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,863	-	-	24,863
სულ ფინანსური აქტივები	94,123	-	-	94,123
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11,268	-	-	11,268
მიღებული სესხები	29,187	25,970	-	55,157
სულ ფინანსური ვალდებულებები	40,455	25,970	-	66,425
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	53,668	(25,970)	-	27,698

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო;

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ნაშთები :

		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018		1 იანვარი 2018	
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	ურთიერ თობა	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში	ნაშთი დაკავშ. მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლს დაქვემდებ.	1,378	40,566	1,618	75,026	788	70,070

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

18. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ტრანზაქციები:

	2019		2018	
	შრომის ანაზღაურების ხარჯები	შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	შრომის ანაზღაურების ხარჯები	შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	15,480	-	11,403
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასი და პრემია	226,392	-	195,250	-
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	489,275	764,813	463,186	728,945

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 აპრილს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, კომპანია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. კომპანია მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში: შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები თანამშრომლებისთვის. ასევე, მოიჯარეების წინაშე წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეების შემსუბუქების მიზნით, კომპანიამ უზრუნველყო ანაზღაურების გარეშე ერთი თვის საიჯარო მომსახურების გაწევა.

აღნიშნული მოვლენის შედეგად, ხელმძღვანელობის შეფასებით, 2020 წელს მოსალოდენელია საიჯარო შემოსავლის შემცირება 2019 წელთან შედარებით. ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ფაქტორები არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

მმართველობის ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3

მმართველობის ანგარიშგება:

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები.....	4
2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	5
3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ	5
4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვა.....	5
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	7
6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	7

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „თბილისის ჩაის ფაბრიკის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს „თბილისის ჩაის ფაბრიკის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა არა მოდიფიცირებული მოსაზრებით 2020 წლის 29 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2020 წლის 29 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2020 წლის 29 აპრილს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თიეის“ სახელით

23 ივნისი 2020

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სს „თბილისის ჩაის ფაბრიკის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ სს „თბილისის ჩაის ფაბრიკის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული დასკვნა არა მოდიფიცირებული მოსაზრებით 2020 წლის 29 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2020 წლის 29 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2020 წლის 29 აპრილს. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხედენილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხედენილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მალხაზ უჯმაჯურიძე

შპს „ნექსია თივის“ სახელით

23 ივნისი 2020

თბილისი, საქართველო



Closer to you

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

მმართველობითი ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები

ისტორია

სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნდა თბილისის ყოფილი ჩაის ფაბრიკის ბაზაზე, წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს და რეგისტრირებულია თბილისის გლდან-ნაძალადევის სასამართლოს მიერ 1/10/1996 წელს, რეგისტრაციის #1ა/5-21. საზოგადოების სახელწოდება/საფირმო სახელწოდება: სს „თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზ. #6 საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: chaisfabrika@yahoo.com საზოგადოების დამფუძნებლები არიან თბილისის ყოფილი ჩაის ფაბრიკის თანამშრომლები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული აქვს 1 აშშ დოლარი ნომინალური ღირებულების 473,327 ცალი ჩვეულებრივი აქცია. კომპანიის აქციების მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის შპს „ჯგუფს“, რომლის მფლობელები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან ლაშა ხურციძე (23,86%), კახაბერ ხურციძე (20,13%), დავით გიორგაძე (21,13%), დავით გობეჯიშვილი (18,22%) და მერაბ შენგელია (16,66%). სულ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია აქციათა 398 საბოლოო მფლობელი:

31 დეკემბერი, 2019		
დასახელება	აქციების რაოდენობა	წილი (%)
შპს ჯგუფი	459,301	97.04%
სხვა წვრილი აქციონერები	14,026	2.96%
სულ	473,327	100.00%

კომპანიის მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის დირექტორია ლაშა ხურციძე. ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არეგულირებს კომპანიის გენერალური დირექტორი კახაბერ ხურციძე და გენერალური დირექტორის I მოადგილე მერაბ შენგელია.

2002 წლიდან სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული საქართველოს საფონდო ბირჟაზე და კომპანია საქართველოს ეროვნულ ბანკს აბარებს ნახევარ წლიურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

აქციათა რეესტრს აწარმოებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავებით საიჯარო შემოსავლის მიღება, ამასთან მას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი სახის საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას. საზოგადოება მოქმედებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების და წესების შესაბამისად. საზოგადოების საქმიანობის დაწყებიდან დღემდე სხვა საწარმოსთან შერწყმა ან სხვა საწარმოს შეძენა არ მომხდარა.

1. ისტორია, მმართველობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

მმართველობა

საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო. ყოველწლიურად, წლიური ანგარიშგების შედგენიდან 3 თვის ვადაში ტარდება საერთო კრება, სადაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. გარკვეულ შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. დირექტორთა საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

2. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

საზოგადოება სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული უძრავი ქონებისა და იჯარის ფასების შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე. კომპანიის მომხმარებლების საქმიანობის სფეროები მოცემულია ქვემოთ:

- სურსათის დისტრიბუცია და სხვა სასურსათო მომსახურება;
- საყოფაცხოვრებო პროდუქციით ვაჭრობა;
- სამშენებლო პროდუქციით ვაჭრობა;
- ფინანსური მომსახურება;
- უძრავი ქონების საბროკერო მომსახურება;
- სტომატოლოგიური მომსახურება;
- სხვა.

3. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალები.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვა

საზოგადოება დგას სხვადასხვა სახის რისკების წინაშე ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება.

კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობელობას.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ - პროცენტთანაა, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი - საზოგადოებაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა საზოგადოებას არ აქვს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები და ტრანზაქციები, შესაბამისად სავალუტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების დარეგულირება არსებითად მნიშვნელოვანია.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ, საგადასახადო ვალდებულების გარეშე:

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	20,559	-	-	20,559
მიღებული სესხები	27,698	151,524	16,665	195,887
სულ ფინანსური ვალდებულებები	48,257	151,524	16,665	216,446

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულების გათვალისწინებით:

	31 დეკემბერი, 2019
სავაჭრო მოთხოვნები	40,423
ფული და ფულის ეკვივალენტები	14,952
სულ საკრედიტო რისკის საფრთხე	55,375

კონკურენტები : საზოგადოების რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია ბაზარზე კონკურენტების სიმრავლესთან. უძრავი ქონების ბაზარი ხასიათდება დიდი კონკურენციით, საქართველოში და სახელდობრ თბილისში არსებობს მრავალი კომპანია, რომელი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა კლასის საოფისე თუ კომერციული ფართების იჯარით მიწოდებას. თუმცა დღეს-დღეისობით საზოგადოების ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი კონკურენციის მიუხედავად, საზოგადოებას თავისი ნიშა ბაზარზე შენარჩუნებული და გამყარებული აქვს, შესაბამისად მნიშვნელოვანი რისკის მოლოდინი არ არსებობს.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვა (გაგრძელება)

კანონმდებლობა და რეგულაციები. საზოგადოება რისკებს და გაურკვევლობებს უკავშირებს ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსს, რომელიც ხასიათდება საკმაოდ ხშირი ცვლილებებით, კანონმდებლობას და სხვადასხვა რეგულაციებს. ასე მაგალითად ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიას გაეზარდა ხარჯი საპენსიო გადასახადების შემოღების გამო.

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

საზოგადოების აქციები განთავსებული სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე. საზოგადოებას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენის ტრანზაქციები, ასევე არ განხორციელებულა რაიმე ტიპის საბირჟო გარიგება, ადგილი ჰქონდა მხოლოდ არა საბირჟო გარიგებების ტიპის ტრანზაქციებს საზოგადოების აქციონერებს შორის.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

საზოგადოების მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ. დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 23 ივნისს:

კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი

მერაბ შენგელია
გენერალური დირექტორის I მოადგილე

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვა (გაგრძელება)

კანონმდებლობა და რეგულაციები. საზოგადოება რისკებს და გაურკვეველობებს უკავშირებს ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსს, რომელიც ხასიათდება საკმაოდ ხშირი ცვლილებით, კანონმდებლობას და სხვადასხვა რეგულაციებს. ასე მაგალითად ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტი კომპანიას გაეზარდა ხარჯი საპენსიო გადასახადების შემოღების გამო.


5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია


საზოგადოების აქციები განთავსებული სავაჭროდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე. საზოგადოებას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების შეძენის ტრანზაქციები, ასევე არ განხორციელებულა რაიმე ტიპის საბირჟო გარიგება, ადგილი ჰქონდა მხოლოდ არა საბირჟო გარიგებების ტიპის ტრანზაქციებს საზოგადოების აქციონერებს შორის.

6. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

საზოგადოების მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. საზოგადოების რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და საზოგადოების საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან ერთად. საზოგადოების საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ. დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს საზოგადოების საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 23 ივნისს:


კახაბერ ხურციძე
გენერალური დირექტორი




მერაბ შენგელია
გენერალური დირექტორის I მოადგილე